საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-936

19/10/2020

ქ. თბილისი

„შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ 110 კვ-იანი ეგხ „მარანი“-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №2-112 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტში შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ 110 კვ-იანი ეგხ „მარანის“ რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №2-112 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-3 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№9; 26.02.2018), რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ 110 კვ-იანი ეგხ „მარანი“-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №2-112 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ 110 კვ-იანი ეგხ „მარანის“ რეკონსტრუქცია/მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;“

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი